სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 87 (20428) — პარასკევი, 14 აპრილი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 აპრილის დადგენილება

სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ

სოფლის სოციალური განვითარების დაჩქარების, სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი შესაძლებლობების უფრო სრული გამოვლენის ხელშემწყობი პირობების შექმნის, სასურსათო პრობლემის გადაჭრაში მათი წვლილის გაზრდის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამეურნეო ორგანოების გადაუდებელ ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ თანამიმდევრულად განახორციელონ დინამიკური სოციალური პოლიტიკა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება სოფლის მცხოვრებთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ მისი ზემოქმედება აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, სოფლის ცხოვრების ყველა მხარეზე ნიადაგ უნდა მატულობდეს. ძირითადი ყურადღება უნდა მიპყრონ იმას, რომ განუხრელად უმჯობესდებოდეს სოფლის მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობები, ხორციელდებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, დაძლეულ იქნეს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს სოფლის სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია:

სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონის თვისებრივი შეცვლა, მათი კეთილდღეობის ზრდის ტემპის დაჩქარება;

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა შრომითი აქტიურობის ზრდის ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა;

ქვეყნის სოფლის შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფა, ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება;

რეგიონალური დისპროპორციების დაძლევა სოციალურ-კულტურული სიკეთით სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფაში, სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა შრომისა და ყოფის პირობებში განსხვავების აღმოფხვრა.

ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის ამოცანების გათვალისწინებით სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის რეალიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცამეტე ხუთწლედში დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

სოფლის სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

2. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა სოფლის სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას სოფლის მშრომელთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებანი, რომ 1991-1995 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებანი, კლუბები და კულტურის სახლები, ამბულატორიები, გაზის ქსელები, წყალსადენები და შიდასამეურნეო გზები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ, რომ ნიადაგ იზრდებოდეს სპბინაო მშენებლობის ტემპი იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, რომ 1998 წლისათვის სოფლის თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ცალკე ბინა ან ინდივიდუალური სახლი. საჭმისე წარმართონ, რომ 2000 წლისათვის ბინით უზრუნველყოფა ერთ სოფლის მცხოვრებზე საშუალოდ ქვეყანაში გაიზარდოს ს�ერთო ფართობის 21 კვადრატულ მეტრამდე. გაიზარდოს საბინაო ფონდის კომფორტულობა.

რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განახორციელონ სოფლად ინდივიდუალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის არსებითი გაფართოების პირობების შექმნის საჭირო ღონისძიებანი.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა:

აქტიურად იმუშაონ სოფლებისა და დაბების კომპლექსური კეთილმოწყობისათვის, მათი გაზიფიკაციის, წყალმომარაგების, გათბობისა და სიმღვრე სატრანსბორტო კავშირის უზრუნველყოფისათვის;

რეკომენდაცია მისცენ, რომ სოფლის დასახლებული პუნქტები განაშენიანდეს უპირატესად კეთილმოწყობილი საკარმიდამო სახლებით, რომლებსაც ექნებათ ეზოს ნაგებობანი, ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-ეკონომიკური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, შემოქმედებითად გამოიყენონ თანამედროვე არქიტექტურისა და ეროვნული ხუროთმოძღვრების მიღწევები. შეიმუშაონ და დანერგონ სოფლის მშენებლობაში გაუმჯობესებული დაგეგმარებისა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის მქონე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ახალი ეკონომიკური პროექტები;

გააძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების, არქიტექტურის ორგანოების პასუხისმგებლობა სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ხარისხისა და მათი არქიტექტურული გამომსახველობისათვის;

გააძლიერონ საავტორო ზედამხედველობა, ტექნიკური კონტროლი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების, საინჟინრო ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობის ხარისხისადმი;

ყოველმხრივ განავითარონ სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, გაიფართოონ მერქნისა და ადგილობრივი საშენი, თანამედროვე მოსაპირკეთებელი და საბურავი მასალებისაგან სახლებისა და დეტალების კომპლექტების, საინჟინრო მოწყობილობის ავტონომიური სისტემების გამოყენება.

4. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ძირეულად გაუმჯობესონ სოფლის მოსახლეობის სათბობით მომარაგება, ამ მიზნით სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრომ გაზარდოს 1995 წელს 2,5-ჯერ ერთ მცხოვრებზე ქსელური გაზის გაცემა და უზრუნველყოს მისი გამოყენებით სულ (იოტა 5 მილიონი საცხოვრებელი სახლის (ბინის) გათბობა.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველყოს, რომ გაიზარდოს 1,4-ჯერ ელექტროენერგიის გაცემა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, გაფართოოს ელექტროენერგიის გამოყენება სოფლად საცხოვრებელი სახლების თბომომარაგებისათვის ენერგოსისტემების დატვირთვის ღამის მინიმუმის საათებში მისი გამოყენების ხარჯზე, გაზარდოს ელექტრომომარაგების სიმედიდოსტა და გაუუმჯობესოს სოფლის მომხმარებლებისათვის მიცემული ელექტროენერგიის ხარისხი.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ 1990-1991 წლებში სოფლის მოსახლეობისათვის ქვანახშირის ულიმიტო მიყიდვაზე გადასვლა.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომ 1991 წლისათვის მყარსაფარიანი გზებით დაუკავშირონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური კარმიდამოები რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრს, 2000 წლისათვის კი მეურნეობათა საწარმოო უბნები და განყოფილებები — ცენტრალურ კარმიდამოს, ამ მიზნებისათვის გამოიყენონ მეურნეობათა საკუთარი სახსრები.

6. სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიურომ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ეფექტიანი ზომები მიიღონ „საბავშვო ბაღი-სკოლის“ ტიპის დაწყებითი სკოლები და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები. აამაღლონ მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის დონე. აღჭურვონ სოფლის სახალხო განათლების დაწესებულებანი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოებით, ავეჯით და ინვენტარით. უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედში, რომ სრულად დააკმაყოფილონ სოფლის სკოლები და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. ძირითადად გადავიდნენ სკოლებში ერთ ცვლად მეცადინეობაზე.

7. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიურომ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სოფლის მოსახლეობის მზარდ სულიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყონ სოფლად კულტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებათა შემდგომი განვითარება. განამტკიცონ კლუბების, ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნან კულტურულ-სპორტული კომპლექსები, ვიდეოსალონები და სხვა კულტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებანი და სპორტული ნაგებობანი. უზრუნველყონ, რომ სოფლის მოსახლეობა სრულად იყოს მოცული მრავალპროგრამიანი ტელევიზიით და რადიომაუწყებლობით, 1995 წელს გაზარდონ ერთიორად სოფლის მოსახლეობის კავშირგაბმულობით მომსახურების მოცულობა.

უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის ბინის ტელეფონებით სოფლად მცხოვრები ყოველი მეოთხე, ხოლო 2000 წლისათვის — ყოველი მეორე ოჯახი.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ცენტ-

(დასასრული №3-ე გვ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

13 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივები და საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდნენ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი. ეცნობიან რა მიმართვას, მშრომელებს მიიჩნიათ, რომ თითოეული მოქალაქის ზნეობრივი მოვალეობაა ყველაფერი იღონოს, რათა ჩაცხრეს ვნებათაღელვა, ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს რესპუბლიკის ცხოვრება.

მოისმინეს პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციები განვლილი დღე-ღამის მანძილზე თბილისსა და რესპუბლიკაში მდგომარეობის შესახებ.

ყველა სამრეწველო საწარმო, კომუნალური სამსახურები, ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნორმალური რიტმით მუშაობენ. არ შეიმჩნეოდა შეფერხებანი სურსათით მოსახლეობის მომარაგებაში. იკლო კომენდანტის საათის მოთხოვნათა დარღვევებმა. სტაბილური ხდება ვითარება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

დადებითს შედეგებს იძლევა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების, პარტიული აქტივის წარმომადგენელთა შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან. მშრომელები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ქალაქში ჯეროვანი წესრიგის დამყარებაში, ხელს უწყობენ რესპუბლიკის დედაქალაქის ტრანსპორტის, სამრეწველო საწარმოების და დაწესებულებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფას, საკადრის პასუხს სცემენ მოპიკეტეებს. მთელი რიგი საწარმოების მუშები იჩენენ ინიციატივას იმუშაონ შაბათს, რათა შეავსონ წარმოების მოცდენით გამოწვეული ჩამორჩენა.

ამავე დროს აღინიშნა, რომ ვითარება ჯერ კიდევ დაძაბულია. ჯერაც არ განახლებულა მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებლებში. ... კოლეგებში სასწავლო პროცესის სრული ... ...

სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ

(დასასრული)

როსიოუზთან ერთად უზრუნველყონ, რომ ამაღლდეს სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის დონე, დაჩქარდეს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მატერიალური ბაზის განვითარება.

1991-1995 წლებისათვის წინადადებათა შემუშავების დროს ორიენტირად აიღონ სოფლად მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სასამყოფო შენობების, განმანაწილებელი მაცივრების, ბოსტნეულ-კარტოფილ-ხილსაცავების, მცირე და საშუალო სიმძლავრის პურსაცხობების, ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მარაზია-საწყობებისა და უნივერსალური მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების მშენებლობისა და საექსპლატაციოდ დაგაცემის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მიერ შეთავაზებული მოცულობა.

9. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სახალხო განათლების სალელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სალელმწიფო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად 1989-1990 წლებში შეიმუშაონ და დამტკიცონ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემადგენლობაში განათლების, კულტურისა და სპორტის ცენტრების, კულტურის სახლისა და კულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის პროექტები.

10. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ, რომ პირველ რიგში და სრულად შევიდეს მეცამეტე ხუთწლედის საიჯარო სამუშაოთა გეგმებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების განაცხადებთ დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე მშენებარე სოფლის სოციალური სფეროს ობიექტები.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა მნიშვნელოვნად გაფართოონ საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების ამ დადგენილებით გათვალისწინებული სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებაში.

11. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ სამშენებლო ინდუსტრიის ახალი სიმძლავრეების შექმნისა და არსებულთა უფრო რაციონალური გამოყენების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რათა 1995 წლამდე მთლიანად დაკმაყოფილდეს სოფლის სამშენებლო ორგანიზაციათა მოთხოვნილება ადგილობრივ საშენ მასალებზე. განავითარონ მონოლითური, აგრეთვე ინდუსტრიული ხის სახლმშენებლობა, სამეურნეობათშორისო საფუძველზე ააშენონ საკედლე, საბურეულე და მოსამარკეთებელი მასალების ქარხნები.

12. სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ 1991-1995 წლებში უზრუნველყონ, რომ სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციებს აგროსამრეწველო კომპლექსის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობებისა და სახმოსავლიანობისათვის, საბჭოთა მეურნეობებისთვის მისაყიდად მიაწოდონ ტექნოლოგიური ხაზები და მოწყობილობა პროგრესული საშენი მასალების, ნაწარმისა და კონსტრუქციების გამოსაშვებად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეცამეტე ხუთწლედის გეგმების პროექტის შემუშავებისა და გეგმის პროგრამების დროს გაითვალისწინონ მოწყობილობის წარმოება და მიწოდება სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარებისთვის იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად მშენებლობის დასახული პროგრამის შესრულებას.

13. სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაცის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ, რომ 1991-1995 წლებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ტექნიკური პირობებით შეიმუშაონ და აწარმოონ და მიაწოდონ სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის მისაყიდად კომპლექტურ-ბლოკური ავტომატზებული და მექანიზებული საქვაბეები, რომლებიც თხევადი, გაზის ე ბ რ ი და მყარი სათბობით მუშაობენ, ელექტრული საქვაბეები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გასათბობად, კომპლექტურ-ბლოკური დანადგარები ჩამონადენი წყლების გასაწმენდად და მიწისქვეშა წყლებისათვის რკინის გამოსაცლელად, გაზსანაწილებელი პუნქტები და წყალსადაწნეო კოშკები, აგრეთვე მოაწყონ საინჟინრო მოწყობილობის ავტონომიური სისტემების წარმოება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის.

14. სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებისა და მართვის სისტემების სამინისტრომ, სსრ კავშირის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ საჭირო მოცულობით მოწყობილობის, ავტომატიზაციის საშუალებისა და ხელსაწყოების წარმოება და მიწოდება საცხოვრებელი სახლების (ბინების) ელექტროთბომომარაგებისათვის.

15. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ 1989 წელს შეიმუშაოს სოფლად გაზიფიკაციისათვის მილების მარკეტინგის პოლიეთილენის და მილების წარმოება, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ მათი გამომშვება 1995 წლისათვის გაზარდოს მინიმუმ 85 ათას ტონამდე.

16. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის სამინისტროსთან ერთად სსრ კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრი ქვეყნების მანქანათმშენებლობის დარგში 1991-1995 წლების სახელმწიფო გეგმების კოორდინაციის შესახებ კონსულტაციათა დროს განიხილონ საკითხი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ხის კონტრუქციებისა და მოსახარკეთებელი ფილების წარმოების მოწყობილობის შესყიდვის თაობაზე.

სოფლის სოციალური განვითარების დაჩქარების ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ღონისძიებების შესახებ

17. სოფლის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სოფლის ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის, აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებითი ურთიერთობის შეცვლის საფუძველზე ჩაითვალოს სოფლად სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის მთავარ ამოცანად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, აგროსამრეწველო ფორმირებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით უზრუნველყონ შემოსავლის დაჩქარებული ზრდა და სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება იმ საფუძველზე, რომ: გაზარდონ პროდუქციის წარმოება და შრომის ნაყოფიერება, გააღრმაონ სამეურნეო ანგარიში, განავითარონ კოოპერაცია, არენდა, საიჯარო და შრომის ორგანიზაციის სხვა პროგრესული ფორმები;

გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები, — გლეხთა მეურნეობები, მოარენდეთა ორგანიზაციები, კოოპერატივები და სხვა; გაზარდონ შემოსავალი პირადი დამხმარე მეურნეობისაგან;

უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკთა მონაწილეობა საკუთარი სახსრების ხარჯზე წარმოების განვითარებასა და ამის შედეგად მიღებული მოგების განაწილებაში.

რაციონალურად გამოიყენონ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.

18. თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკის ხელმძღვანელობის გარდაქმნის პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალური განვითარებისთვის კაპიტალური დაბანდებები ხორციელდება:

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლისა და სხვა სახსრების;

ბანკების კრედიტების;

მოსახლეობის, მოარენდეების, კოოპერატივების სახსრებისა და საზოგადებრივი ორგანიზაციების ფონდების;

ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტების;

სახელმწიფო ცენტრალიზებული ინვესტიციების ხარჯზე.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული 1991-1995 წლებში აითვისონ აგროსამრეწველო კომპლექსში საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე კაპიტალური დაბანდებანი დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით 121 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიამ განსაზღვრონ მეცამეტე ხუთწლედისათვის კაპიტალური დაბანდებების მოცულობა საკავშირო ბიუჯეტიდან ფინანსირებული აგროსამრეწველო კომპლექსის არასაწარმოო სფეროს განვითარებისათვის.

19. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ განსაკუთრებით მძიმე ბუნებრივ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პირობების მქონე ზონებში განლაგებულ ეკონომიკურად ჩამორჩენილ მეურნეობებში საცხოვრებელი სახლების, შიდასამეურნეო გზების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ელექტრიფიკაციის, გაზიფიკაციის ობიექტების და კომუნალური მეურნეობების სხვა ობიექტების მშენებლობა ფინანსდებოდეს რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე. ასეთ მეურნეობათა ნუსხას ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში გაითვალისწინონ სრული მოცულობით მატერიალური რესურსები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესაბამისად, რომლებსაც აფინანსებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სრულად დაკმაყოფილდეს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა საშენ მასალებზე, ნაკეთობებზე, კონსტრუქციებზე, საინჟინრო და სანტარიულ-ტექნიკურ მოწყობილობაზე საცხოვრებელი სახლებისა და საეზოო შენობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის.

21. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ სოფლის მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამები (განსაკუთრებით შუა აზიისა და ამიერკავკასიის ჭარბმუშახელიან რეგიონებში), რომლებიც ითვალისწინებს ახალგაზრდობის მიერ პროფესიების არჩევის შესაძლებლობათა გაფართოებას, მეურნეობებისა და სოფლის მშრომელთა შემოსავლის დონის ამაღლებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე სამრეწველო წარმოებებისა და სარეწების, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი წარმოებებისა და სარეწების ყოველი ღონისძიებით განვითარებას.

ხელი შეუწყონ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სამეურნეობათაშორისო საწარმოებთან სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა პირდაპირი საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარებას, რათა კოოპერაციის საფუძველზე სოფლად მოაწყონ სახალხო მოხმარების საქონლის, საშენი მასალების, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, მაკომპლექტებელი კვანძებისა და დეტალების წარმოება.

რეკომენდაცია მისცენ მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაიონ ურთიერთხელსაყრელი პირობებით გრძელვადიანი შეთანხმებანი ამ საწარმოთა ძალებითა და სახსრებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალური და საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის და შესაბამისად მეურნეობების მიერ ამ საწარმოთა კოლექტივებისათვის სასურსათო პროდუქტების მიწოდების შესახებ.

22. სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიამ საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით მეცამეტე ხუთწლედის გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს იხელმძღვანელონ იმ საჭიროებით, რომ უნდა შეიქმნას სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო მომსახურების ერთიანი სისტემა, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ქალაქების პოტენციალი ამ სახეობათა მომსახურებაში სოფლის ჩამორჩენის დაჩქარებული დაძლევისათვის.

24. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ცენტროსოიუზმა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ განახორციელონ სასურსათო და არასასურსათო საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მკვეთრი გაფართოების ღონისძიებათა კომპლექსი. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ 1995 წლისათვის 1990 წელთან შედარებით გაიზარდოს სოფლად საცალო საქონელბრუნვა 1,6-ჯერ, ხოლო მომსახურების მოცულობა — ერთიორად და მეტად. უზრუნველყონ გაზრდილი მოთხოვნის საქონლით, მათ შორის ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ფეიერადი ტელევიზორებით, მაცივრებით, სარეცხი და სამკერვალო მანქანებით სოფლის სამომხმარებლო ბაზრის უხვად მომარაგება, მოლიანად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილებანი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, ავტოტრანსპორტის რემონტზე, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების მომსახურების სამუშაოთა შესრულებაზე.

25. რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საავტომობილო გზების ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით შექმნან სოფლად, ამ გზების რემონტისა და შენახვის ქვეგანაყოფები სამშენებლო, სარემონტო საწარმოების, წყალსამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის საფუძველზე.

სოფლად კადრების დამკვიდრების ღონისძიებათა შესახებ

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიიჩნია, რომ სოციალურ ცვლილებებს შეუძლია უზრუნველყოს სათანადო უკუგება მხოლოდ სოფლად ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებასთან შეხამებით, რომელიც თვალსაწინაოს რეგიონალურ თავისებურებებს.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სხვა ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაამთავრონ 1990 წლისათვის მოსახლეობის განვითარების მეცამეტე ხუთწლედის პროგრამების შემუშავება სოფლის ინიციალების დემოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინებით. გაითვალისწინონ ამ პროგრამებში როგორც პრიორიტეტული მიმართულებები სოფლად ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ნაკლებშუახელიან რეგიონებში შობადობის სტიმულირების ღონისძიებათა კომპლექსი. უფრო სრულად გაითვალისწინონ მოსახლეობის რიცხვის ზრდის ტემპის, სოფლის მცხოვრებთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურის სოციალური და ტერიტორიული მობილურობის დონის რეგიონალური განსხვავებები.

27. მიენიჭოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით უფლება დაუწესონ ნაკლებშუახელიან სოფლის რაონებში ტერიტორიების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით დახმარებანი ბავშვებისათვის, აგრეთვე ბავშვებისათვის ყველა სახეობის დახმარების დანამატები, რომლებიც ინიშნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისად რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ყოველნაირი მატერიალური დახმარება გაუწიონ ბავშვებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახებს, ნაკლებად უზრუნველყოფილ და მრავალშვილიან ოჯახებს. მოახმარონ კოლმეურნეობების, შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრთა საერთო კრებების თანხმობით საკუთარი სახსრების ნაწილი ასეთი ოჯახებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევვის, მათი საჭიროებებისა და ინტერესების უფრო სრულ დაკმაყოფილებას, და კერძოდ, იმას, რომ:

სასწავლო წლის დაწყების წინ მისცენ მრავალშვილიან და ნაკლებ უზრუნველყოფილ ოჯახებს დახმარება სასკოლო და სპორტული ფორმის, სასკოლო ნივთების, საწერ-კალმის შესაძენად;

მისცენ დახმარება მრავალშვილიან და ნაკლებ უზრუნველყოფილ ოჯახებს ბავშვებისათვის, რომლებიც დადიან ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში;

მისცენ მარტოხელა დედებს, მრავალშვილიან და ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, სახელმწიფო დახმარების დანამატები ბავშვებისათვის;

გამოუყონ საშენი მასალები და გაუწიონ სატრანსპორტო მომსახურება, გამოუყონ სათბობი მრავალშვილიან და ნაკლებუზრუნველყოფილ ოჯახებს შეღავათიანი პირობებით, სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურონ მათ სახლების რემონტის ღირებულება.

ნაწილობრივ დაფარონ ახალგაზრდა, მრავალშვილიანი და ნაკლებ უზრუნველყოფილი ბავშვიანი ოჯახებისათვის გაცემული სესხი, აგრეთვე მისცენ შეღავათები ამ სესხით სარგებლობისათვის პროცენტული დანარიცხების გადასახდელად.

28. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით განახორციელონ ღონისძიებანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო და სამკურნალოწამლო დახმარების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სოფლად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსავითარებლად. გააფართოონ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა ქსელი. სოფლის მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით ყველა სპეციალობის ექიმებით დაკომპლექტონ პოლიკლინიკები, რაიონული და საუბნო საავადმყოფოები. აღმუურვონ ისინი თანამედროვე მოწყობილობით. გააუმჯობესონ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაობა, დაკომპლექტონ ცენტრალური რაიონულ საავადმყოფოებთან არსებული მუდმივმოქმედი გამსვლელი ბრიგადები სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

რეკომენდდაცია მისცენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შექმნან პანსიონატები ომის და შრომის ვეტერანებისათვის, მარტოხელა და ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის, ამასთან უზრუნველყონ ისინი კვებით, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებების, შრომითი კოლექტივების საბჭოების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაოს ქვეყნის სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ძირეული გაუმჯობესების 1991-1995 წლების პროგრამა.

29. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ შრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ახალი კანონის შემუშავებისას გაითვალისწინონ მისი პირველ რიგში შემოღება კოლმეურნეობათა წევრებისათვის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის.

30. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებს შრომითი კოლექტივების საბჭოთაან და პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით მუშებს (კოლმეურნეებს), რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, მიეცეთ დამატებითი შვებულება, რომელიც ანაზღაურდება სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის სახსრების ხარჯზე.

31. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო შრომის პირობების დაიაუმჯობესებლად, წარმოების საშუალებათა თვისებრივი განახლების, თანამედროვე მანქანების კომპლექსებისა და შრომადამზოგი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად, ამასთან მხედველობაში იქონიონ ის, რომ:

შეამცირონ ხელის შრომის დანახარჯები სოფლის მეურნეობაში 1995 წლისათვის ერთი მესამედით, გაუმჯობესონ ქალთა შრომის პირობები;

უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედში ყოველ საწარმოო უბანში საჭირო საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა.

რეკომენდაცია მიეცეს საკავშირო პროფსაბჭოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს 1989 წლისათვის სოფლის მეურნეობაში, შრომის დაცვის გაძლიერებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი.

32. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიამ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ მეცამეტე ხუთწლედში ორგანიზაციული ღონისძიებანი, რათა აქტიურად მიიზიდონ ქვეყნის ნაკლებმუშახელიანი რეგიონების სოფლებში მუდმივ საცხოვრებლად ქალაქებისა და მუშათა დაბების, აგრეთვე ქვეყნის ჭარბმუშახელიანი რაიონების მცხოვრები, რათა დაკმაყოფილონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებანი კვალიფიციურ კადრებზე. ყურადღება მიაპყრონ პატარა სოფლების შენარჩუნებასა და განვითარებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა პირებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ სამუშაოდ გაემგზავრონ ნაკლებმუშახელიანი რაიონების სოფელ-ადგილებში დაუჯავშონ საცხოვრები ფართობი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დადგინდეს, რომ ოჯახებს, რომლებიც რუსეთის სფსრ არაშავიწყნინადგაანი ზონის ნაკლებმუშახელიანი რაიონების და მორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონის სოფელ ადგილებში გადასახლდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამუშაოდ, ეძლევათ სახელმწიფოს ხარჯზე ერთდროული ფულადი დახმარება მეურნეობის მოსაწყობად ოჯახის თავზე 2000 მანეთის ოდენობით და ოჯახის წევრზე— 500 მანეთის ოდენობით.

რეკომენდდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს უსასყიდლოდ მისცენ ოჯახებს პირადი დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად ძროხა (უშობელი), გოჭი, ცხვარი და პირველი წლის განმავლობაში გაუწიონ დახმარება საკვებით.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, აგრეთვე რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობებსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ მოქალაქეებს, რომლებიც ჩადიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლად მუდმივ საცხოვრებლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობისათვის, მისცენ შეღავათები დასახლებისათვის (კერძოდ, მათი კომპეტენციის შესაბამისად, შეღავათები ფულადი დახმარების მისაცემად, დასაბეგრად, ბინით, სათბობით, კომუნალური მომსახურებით, საშენი მასალებითა და სხვა მომსახურებით უზრუნველსაყოფად), რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით, ამასთან ხარჯები, რომლებსაც ისინი წარუდგენენ, აუნაზღაურონ მეურნეობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

33. რეკომენდაცია მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რუსეთის სფსრ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის არაშავიწყნინადგაანი ზონის ნაკლებმუშახელიან რაიონებშია განლაგებული:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 197 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად თავიანთ მუშაკებს, სოფლის ინტელიგენციას უსასყიდლოდ გადასცენ პირად საკუთრებაში დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მეურნეობათა ბალანსზე არსებული საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო ნაგებობებითურთ.

სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის სახსრების ხარჯზე აუნაზღაურონ ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების მიერ საკუთარი ძალებით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, მისცენ შეღავათები დასახლებისათვის (კერძოდ, მათი კომპეტენციის შესაბამისად, შეღავათები ფულადი დახმარების მისაცემად, დასაბეგრად, ბინით, სათბობით, კომუნალური მომსახურებით, საშენი მასალებითა და სხვა მომსახურებით უზრუნველსაყოფად), რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით, ამასთან ხარჯები, რომლებსაც ისინი წარუდგენენ, აუნაზღაურონ მეურნეობებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

34. გლეხთა მეურნეობების სტიმულირების, კვების პროდუქტების წარმოების გადიდებით მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით დაადგინონ მათთვის შემდეგი შეღავათები:

გაათავისუფლონ საარენდო ქირისაგან 5 წლის ვადით;

მისცენ გრძელვადიანი კრედიტი საცხოვრებელი სახლისა და საკარმიდამო ნაგებობათა მშენებლობისათვის 50 ათასამდე მანეთის ოდენობით 50 წლამდე ვადით, ამასთან დაფარვა დაიწყოს კრედიტის მიღების შემდეგ მეექვსე წელს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის აგრომრეწვაბანკთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ამ მეურნეობებისთვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი
მ. სმირტიუკოვი.

სოფლის სოციალური განვითარების პროგრამის შესახებ

(დასასრული)

ნიზაციებს აგროსამრეწველო კომპლექსის სამშენებლო ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის მისაყიდად მიაწოდონ ტექნოლოგიური ხაზები და მოწყობილობა პროგრესული საშენი მასალების, ნაწარმისა და კონსტრუქციების გამოსაშვებად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეცამეტე ხუთწლედის შემუშავებისა და გეგმის პროგრამების დროს გაითვალისწინონ მოწყობილობის წარმოება და მიწოდება სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარებისთვის იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად მშენებლობის დასახული პროგრამის შესრულებას.

13. სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაცის სამინისტრომ, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ

ყველაფერი ვიღონოთ ვითარების განმუხტვისათვის!

აჩქარება არას გვარგებს

ძალიან მიმძიმს ჩემი გულისტკივილის გამოხატვა... მოხდა უდიდესი ტრაგედია. იგი თაობათა ხსოვნაში დარჩება, როგორც აქტი უდანაშაულო ადამიანების ხოცვისა. მე კარგად მახსოვს 1956 წლის ამბები, მახსოვს აზვირთებული, შემდეგ კი, გულმოკლული თბილისი და თბილისელები.

გავეცანი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიმართვას, გაჩნდა იმედი იმისა, რომ ცხოვრება კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩადგება...

ახლა ისღა დაგვრჩენია, გავაანალიზოთ ყოველივე, დავფიქრდეთ იმაზე, რომ აჩქარება არას გვარგებს, აჩქარებამ ტრაგედია დაატრიალა. ვიფიქროთ, და მომავლის იმედს ნუ დავკარგავთ.

ნანი ბრეგვაძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

ვიყოთ კეთილგონიერნი!

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი მიხეილ გორბაჩოვის უდიდესი შეშფოთებით აღსავსე მიმართვამ, დარწმუნებული ვარ, გამოხმაურება პოვა ჩემს თანამეშამულეებში. მძიმე დღეები გვიდგას ამჟამად. მოხდა გამოუსწორებელი რამ. ვითარება უკიდურესობამდე დაიძაბა, დაისაჯნენ უდანაშაულო ადამიანები, უმრავლესობა — ქალები. გამართლება არ მოეძებნება ამათ, ვინც ჩვენს ახალგაზრდობას ამისკენ უბიძგა, ვინც გადაღახა სოციალისტური პლურალიზმისა და სოციალური გონიერების ზღვარი.

რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების მთელი სიმძიმისა და ტრაგიზმის მიუხედავად, ბაზი უნდა გავუსვა — დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებაში ხორციელდება დემოკრატიზაციის პროცესები, ეს არ უნდა მომხდარიყო. მთ უმეტეს, მშრომელთა ინტერესები საკმაოდ შორსაა არაფორმალური გაერთიანებების ლიდერთა ანტისაბჭოური ლოზუნგებიდან.

საქართველოს ინტელიგენციას, მეცნიერებს, დიდი პასუხისმგებლობა გვაწევს. ვალდებული ვიყაოთ დროულად გამოგვჩინა სიმტკიცე, რათა თავიდან აგვეცილებინა ეს სიტუაცია. ეს პირდაპირ ითქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ კრებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ საქართველოს მომავლისათვის. მოვუწოდებ ყველას — ვიყოთ კეთილგონიერნი, ახალ უბედურებას ნუ დავატეხთ ქართულ მიწას. გამოვიჩინოთ საღი აზრი, დავიოკოთ ჭარბი ემოცია, რათა რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის ჯზა გამოინახოს. საკუთარ სახლში წესრიგი თვითონ უნდა დავამყაროთ. მხოლოდ ამით შევძლებთ თავიდან ავიცილოთ ტანჯების გრუხუნი!

დავით ხახუტაიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სწავლების პროცესის მოსაგვარებლად

დედაქალაქის მრავალ სკოლაში (განსაკუთრებით კალინინს, ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონებში), უმაღლეს სასწავლებლებში ფაქტობრივად მეცადინეობა ჯერჯერობით კიდევ არ განახლებულა.

თბილისის ცხოვრების ნორმალური მაჯისცემის აღსადგენად სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობის მოგვარებაა საჭირო. საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროსაც იმ მიზნით ვეწვიეთ, რომ შეგვეტყო, თუ რა აკეთდება საამისოდ.

11 აპრილს სამინისტროში ზედიზედ ორი შეხვედრა გაიმართა ჯერ დედაქალაქის სკოლების ახალგაზრდა პედაგოგებთან, შემდეგ კი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან.

ითქვა ხელისშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებზე. აღიძრა სასწავლებლების ახლო-მახლო ტერიტორიებიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის საკითხი, რადგან ეს აფრთხობს მშობლებს, აღიზიანებს სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დღეებში უნდა განახლდეს მეცადინეობა, რომ ამ მიზნით საჭიროა პედაგოგიური კოლექტივების მობილიზება, პროფსორ-მასწავლებელთა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, აღმზრდელთა და მშობელთა საერთო ძალისხმევა. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრება საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

სწავლების პროცესის მოსაგვარებლად მუშაობა გრძელდება.

(„კომუნისტის“ კორ.)

სამხედრო კომენდანტის ცნობა

ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტის სამმართველო იუწყება, რომ გასული დღე-ღამის განმავლობაში პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების, საზოგადოებრიობისა და ჯარების მიერ მიღებული ზომების შედეგად ვითარება საქართველოს სსრ დედაქალაქში რამდენადმე სტაბილური გახდა. განახლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სამრეწველო საწარმოების მუშაობა.

ამასთან, სიტუაცია ცალკეულ რაიონებში, კერძოდ, გლდანისა და საქარხნო რაიონებში, კვლავ დაძაბულია. აქ ყველაზე მეტად იგრძნობა ახალგაზრდობის აგრესიულად განწყობილი ჯგუფების გავლენა. ქალაქში ჩნდება ფურცლები პროვოკაციული მოწოდებებით. სამხედრო პატრულმა დააკავა მოქალაქე ნ. ვ. ლიპარტელიანი, როცა იგი აკრავდა ნაციონალისტური ყაიდის ფურცლებს.

კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ გასული დღე-ღამის განმავლობაში დაკავებულია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის გადაცემულია 328 კაცი. დაკავებულია 66 ავტომანქანა. ჩამორეკილია 117 ერთეული ცივი იარაღი და 3 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. ორი უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში სახალხო სასამართლოებმა ადმინისტრაციული წესით დასაჯეს 32 კაცი.

• იმ მშფოთვარე დღეების მოვლენები, ზომიერებისა და გონიერების გრძნობას მოკლებული ქმედებანი, ქართველი ხალხისათვის უსაშინლესი ტრაგედია რომ დაატრიალეს და მის გულს სამარადჟამოდ მოუშუშებელი იარა დაამჩნიეს, თბილისის პარალელურად რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრში — რუსთავშიც ვითარდებოდა. მომიტინგეთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახლდათ მეტალურგიული ქარხანა. იყო ძალის გამოყენებით მისი გაჩერების მცდელობაც კი. ამის თაობაზე და, საერთოდ, ტრაგედიამდე რუსთავში შომხდარ და მის შემდეგაც მიმდინარე მოვლენების შესახებ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება ქარხნის დირექტორი ბ. ძაშაკაშვილი.

ასე ფიქრობენ რუსთაველი მეტალურგები

ამასობაში მომიტინგეები ქარხნის ცენტრალურ შესასვლელს მიადგნენ, შიგ შესვლა და მარტენის საამქროს გაჩერება მოინდომეს. ქალაქისა და ქარხნის აქტივისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეთ, მაგრამ ვერ შეეჩერეთ. დაიწყეს შესასვლელი კარის მტვრევა. საბედნიეროდ, დაცვის მუშაკებს სახანძრო რაზმის გამოძახება მოესწროთ. და წყლის ძლიერი ნაკადი შეაგებეს. ვერც ამან გასჭრა. ამის შემდეგ დაცვამ გამაფრთხილებლად გაისროლა კიდეც ჰაერში. ხალხის მასა შეჩერდა.

ამასობაში შემატყობინეს, რომ სამმართველოს ცენტრალური შესასვლელის აივანზე მიკროფონი უკვე დაედგათ. მეც ვისარგებლე ამით და მოვუწოდე აღგზნებულ მასას გამოფხიზლებულიყვნენ. კიდევ ერთხელ შევახსენე მათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ქარხანა, რაოდენ დაზარალებს მისი უწყვეტი ციკლის შეჩერება რესპუბლიკის ეკონომიკას.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო მობრუნება სამმართველოს ცენტრალური მოედნისაკენ. შედარებით ნორმალური მსჯელობისა და კამათის საშუალებაც შეიქმნა. ბევრი რამ ითქვა იმის თაობაზე, თუ რაოდენ კარგი საქმე გაკეთა ქარხანამ განვლილი წლების მანძილზე თუნდაც დემოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენი რამ გაკეთდა და კეთდება რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებაში საკუთარი წვლილის გაზრდის, ეკოლოგიური მდგომარეობის, მარნეულის რაიონში, წერაქვსა და სიოწში ქართველი მოსახლეობისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მათი გამრავლებისათვის და სხვ. მართალია, მეც და სხვა გამომსვლელებსაც სტვენით, შეძახილებითა თუ სხვა მეთოდებით ხელს ვვიშლიდნენ, მაგრამ მომიტინგეები ნაშუალამევს მაინც დაიშალნენ.

— შემდგომ დღეებში ხომ არ გამეორებულა ისეთივე დაძაბული სიტუაცია?

— ისეთივე აქტიურობით, არა, მაგრამ მაინც იყო ქარხნის გაჩერების მცდელობა. მომიტინგეებმა მცირე დროით მოახერხეს კიდეც, მაგალითად, წვრილსორტიული საგლინავი დგანის გამორთვა, მაგრამ იგი მალევე ჩავრთეთ. კვლავ იყო მემანქანეთა და სხვათა დაშინების, გაფიცვებისთვის მოწოდების შემთხვევები. ქალაქშიც ავტობუსებს აჩერებდნენ, რეისებს შლიდნენ. ხალხიც ფეხით მოდიოდა სამუშაოზე, ნაწილი კი ჩვენი მიკროავტობუსებითა და მსუბუქი მანქანებით მოგვყავდა.

— დღეს როგორი მდგომარეობაა ქარხანაში?

— ისევე როგორც მთელი საქართველო, ჩვენი კოლექტივიც უსაზღვროდ გლოვობს და გოდებს. მართლაც აუნაზღაურებელი დანაკარგი და მოუშუშებელი იარა მოგვიტანა ცხრა აპრილის ალიონმა. საწარმოო კუთხით კი ყველაფერი რიგზეა. ქარხანა არც ერთი დღითა და საათითაც კი არ გაჩერებულა. გეგმები ყოველდღიურად სრულდებოდა. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი მაინც ის არის, რომ მეტალურგთა ორგანიზებულობამ რუსთავს გარკვეულწილად თავიდან აიცილა არეულობა, ტრაგედია და კომენდანტის საათის შესაძლო შემოღებაც კი. ეს რომ ასე მომხდარიყო, ვინ იცის, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი თბილისში კომენდანტის საათის მალე გაუქმებაზე ფიქრი.

დასასრულ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და რამდენიმე სიტყვით საკუთარი აზრი გამოვთქვა მომხდარის გამო, რჩევით მივმართო ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. მომხდარი ამბავი უსაშინლესი ტრაგედიაა ჩვენი ხალხისათვის, მაგრამ კმარა მსხვერპლი. მოვუხმოთ გონიერებას, დავიოკოთ გრძნობები, რაც, ცხადია, ასეთ ექსტრემალურ პირობებში საკმაოდ ძნელია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. როგორც მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი „მოგვმართავს, გამოვიჩინოთ კეთილგონიერება და საღი აზრი, ვიფიქროთ მშობლიურ ხალხსა და მის მომავალზე. ხვალინდელი საქართველოსათვის არის ეს საჭირო!

ქრონიკა

ღონისძიებანი ხელოვნებისა

რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები, მთელი მოსახლეობა სულ უფრო ფართოდ უპერენ მხარს იმას, რომ საჭიროა აფეთქებასაში ვითარების სტაბილიზაცია და თანდათანობით შენელება.

პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ქარლო გუჯაბიძე:

— რაიკომის პლენუმის დამთავრებისთანავე გაიმართა თათბირები სახალხო-სამეურნეო ობიექტების ხელმძღვანელებთან, დარგების მიხედვით მათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. თითოეულ ორგანიზაციას მიმაგრებული ჰყავს რაიკომისა და პარტიული აქტივის პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთა სამუშაო დღე დედაქალაქში საგანგებო ღონისძიებათა დაწესებასთან დაკავშირებით. დილის შვიდ საათზე იწყება.

12 აპრილს სამუშაოზე გამოვიდა რაიონის სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა მუშების 93 პროცენტი. მობილურად და ორგანიზებულად მოქმედებენ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები, რომლებსაც ამ დღეებში არც ერთი სერიოზული ხარვეზი არ ჰქონიათ.

განსაკუთრებული ყურადღების სფეროშია მსხვილი სამრეწველო საწარმოები — საწარმოო გაერთიანებები „ელექტროაპარატი“ და „ელმავალმშენებელი“, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება და სხვები. იქ, სადაც სამუშაო ციკლი მრავალცვლიან მუშაობას ითვალისწინებს, განხორციელდა რეორგანიზაცია კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით: მაქსიმალურად შემცირდა პირველი ცვლები და შემცირდა მეორე ცვლები.

სხვათა შორის, კომენდანტის საათთან დაკავშირებით წარმოიქმნა სხვა პრობლემებიც. მისი შემოღების პირველ ორ დღეში ჩვენს რაიონში დაიკავეს დაახლოებით 60 კაცი. ამიტომ, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარდა, გადაწყდა სამრეწველო სამხედრო საგუშაგოებზე გამოვყოთ რაიონის კომკავშირელები და აქტივის წარმომადგენლები.

პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ნიკოლოზ ლეკიშვილი:

— ჩვენს რაიონში ვითარებისადმი კონტროლის ოპერატიული შტაბი შეიქმნა თვის პირველი დღეებიდანვე, უსანქციო დემონსტრაციების დაწყებისთანავე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, შეძლებისაგვარად „შემჭიდროებულ ვადებში გამოვხმაურებოდით მოვლენათა ესოდენ კრიზისულ შემობრუნებას. გაიმართა შეხვედრები რაიონის ყველა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელებთან. დღისათვის მთლიანად მოქმედებს ყველა სამრეწველო ობიექტი, ჩვენ კი დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ ვკრეფთ ინფორმაციას სახალხო-სამეურნეო ობიექტებში სამუშაოზე გამოსვლისა და საქმის ვითარების შესახებ, სადაც საერთო მდგომარეობა სტაბილური ხდება.

ადგილებზე ვითარების ნორმალიზაციის ოპტიმალური გზების ძიებას მიეძღვნა კრებები პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებიც ეწყობა 11 აპრილიდან დაწყებული პარტიის რაიკომის ყველა წევრის მონაწილეობით. ისინი უკვე გაიმართა 99 ძირეულ პარტიულ ფორმირებაში, ხოლო კვირის დამლევისათვის მოეწყობა 311-სავე პარტორგანიზაციაში.

პროდუქტების მიწოდების მხრივ კარგად მუშაობენ მაღაზიები, მათ შორის სასურსათოც, მაგრამ გარკვეულმა პანიკამ გაზარდა მოთხოვნა ცალკეულ სახეობათა პროდუქციაზე.

ერთიანი ხულიგნური შემთხვევების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც რაიონში მოხდა და რომელთა შესახებ პრესა იუწყებოდა, შექმნილია მოძრავი მოხალისე საპატრულო ჯგუფები რაიონის აქტივისა და საზოგადოებრიობის შემადგენლობიდან.

საძალაძო ტრანსპორტი

ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი დედაქალაქი — თბილისი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. საამისოდ მიზანმიმართულ ღონისძიებებს ანხორციელებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელები და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალები. ქალაქი თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება, აღარ იგრძნობა ადრინდელი დაძაბულობა.

ნორმალური რიტმის აღსადგენად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქალაქო ტრანსპორტის გამართულ მუშაობას, ქუჩებში ავტობუსების, ტროლეიბუსების, ტრამვაის, ტაქსების, შეუფერხებელ მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით ვეწვიეთ და ვესაუბრეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსს **ო. დარჯანიას.**

—თქვენს გაერთიანებაზე იყო დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად, ასეთ უმძიმეს პირობებში ქალაქის ეკონომიკის დარგების, მომსახურების სფეროს, სხვა ასობით ორგანიზაციის შეუფერხებელი მოქმედება და, რამდენადაც ვიცით, თქვენმა დიდმა კოლექტივმა ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა.

— დავიწყებ იმით, რომ ყურადღებით გავეცანი პრესაში გამოქვეყნებულ მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, სრულიად ვეთანხმები, რომ ყალბმა ორიენტირებამ თავგზა აუბნია ადამიანთა ერთ ნაწილს, დაიწყო უწესრიგობანი, დაიღუნენ ადამიანები, დაიღვარა უდანაშაულო სისხლი. მართლაც განუზომელია მათი დედებისა და ახლობლების გლოვა, ვერ წარმომიდგენია ჩვენთან მცხოვრები თუნდაც ერთი ნორმალური ადამიანი, რომელიც ამ ამბავს არ შეეძრწუნებინოს.

ზოგიერთისათვის შეიძლება ეს მოულოდნელიც იყო, მაგრამ სატრანსპორტო გაერთიანების კოლექტივმა სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და არ დაიძნა, გამოიჩინა გონიერება და საზრიანობა. კი არ დაუპირისპირდა ახალგაზრდობას, არამედ დინჯად, უემოციებოდ დაიწყო მათი დაშშმინებისათვის და გადარჩენისათვის ბრძოლა. ექსტრემისტული ჯგუფები მძღოლებს ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ და ეუბნებოდნენ, პატრიოტები არა ხართო, ზოგჯერ აიძულებდნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საწარმოებში.

მარტო 9 აპრილს იყო შეფერხება, თორემ მომდევნო დღეებში მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. 10 აპრილს უკვე მუშაობდა საქალაქო ტრანსპორტის 70 პროცენტი, 11 აპრილს — 80 პროცენტი, 12 აპრილს — 90 პროცენტი. ხოლო 13 აპრილს — მთლიანად. გუშინ ხაზებზე მოქმედებდა 1016 ავტობუსი, ტროლეიბუსი და ტრამვაი — ნორმაზე ცოტა მეტიც კი.

— მაინც, რა დაუპირისპირეთ ამ არასასიამოვნო სიტუაციას?

— ორგანიზებულობა. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ თვით სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით შეიქმნა 3 — 4-კაციანი ჯგუფები. ისინი დაჰყვებოდნენ მარშრუტებს და საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ პასუხი გაეცათ იმათთვის, ვინც გაბედავდა შეეფერხებინა მუშაობა. საბედნიეროდ, გუშინ ეს საჭირო არ გამხდარა. კოლექტივის ერთ „მუშტად“ შეკვრა კარგია, მაგრამ ამის მიღწევა საზრიანობით, დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად შეიძლება. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ალბათ, ვერც ჩვენ გავხდებოდით რამეს.

—კვლავ რომ დაიძაბოს მდგომარეობა?

დარწმუნებული ვარ, რომ ეს აღარ მოხდება, მაგრამ. თუ საჭირო იქნება, კოლექტივი უკან არ დაიხევს. სირთულეს კვლავ სიმტკიცესა და ორგანიზებულობას ვუპირისპირებთ. ასეთ პირობებში ვაჟკაცი, ნამდვილი პატრიოტი ის არის, ვინც თავს შეიკავებს და არ აჰყვება ემოციებს. გაბა უბედურება არ არის, ყოველ ნაბიჯზე შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და ტანკებს ხედავდე? ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გაუქმდეს კომენდანტის საათი, გაიყვანონ ჩვენი ქალაქიდან სამხედრო ნაწილები.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში

(დასასრული)

რესპუბლიკაში ხორციელდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა და საბჭოთა მუშაკებმა, მათ შორის პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, დაუშვეს სერიოზული ხარვეზები სოფელ ლიხნში მიტინგის მსვლელობაში. მათ არ გამოქმედეს თავიანთი პოზიცია მიღებული დოკუმენტების მიმართ, არ განმარტეს, რომ ყველა რთული მტკივნეული საკითხი, განსაკუთრებით ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში, უნდა განიხილებოდეს და გადაიჭრას მშვიდ ვითარებაში, ყველა ერის ინტერესების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ხელი მაწერეს რა მიმართვას, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს ოგიერთმა წევრმა, მიელმა რიგმა პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ისინი უნდა გამხატავდნენ კომუნისტებისა და მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს. ამის შედეგად გაზეთებში „აფსნი ყაფშსა“ და „სოვეტსკაია აბხაზიაში“ გამოქვეყნებულმა ინფორმაციებმა მიტინგის შესახებ, მიმართვის ტექსტმა მოსახლეობის ნაწილს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მიტინგის დოკუმენტები მთლიანად ასახავდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების პოზიციას.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ყოველთვის როდი ფლობენ სიტუაციას და ვერ უზრუნველყოფენ მასზე ჯეროვან ზემოქმედებას. ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს საჭირო ოპერატიული და პროფილაქტიკური მუშაობა, კერძოდ, უსანქციო მიტინგებისა და მათი ორგანიზატორების მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთისათვის. ამის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში კვლავ დაძაბული ვითარებაა.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღიარა, რომ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მან ვერ შეძლო გარდაექმნა თავისი მუშაობის სტილი და მეთოდები, იჩენდა ჭაუბედაობასა და არათანმიმდევრულობას, მთელი ძალით არ გაშალა მუშაობა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და გარდაქმნის ამოცანების ირგვლივ ყველა ეროვნების მშრომელთა შეკავშირებისათვის.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებების შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლში.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მთელი პარტიული პრინციპულობით გააანალიზონ პოლიტიკური ვითარება რეგიონებში, შეიმუშაონ მისი ნორმალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა კრიტიკულად უნდა განიხილონ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრთა, კომუნისტთა საქმიანობა იმის მხრივ, თუ როგორ ხელმძღვანელობენ პოლიტიკურად ისინი შრომითი კოლექტივების ცხოვრებას, განსაზღვრონ და ხორცი შეასხან კონსტრუქციულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტორგანიზაციათა, სკკპ წევრთა როლისა და ავტორიტეტის გაზრდას.

შესაბამისი დავალებანი მიეცათ საქართველოს აღკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცავ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

ბიურომ ძირითადად მოიწონა „სსრ კავშირში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელზე წარდგენილი წინადადებანი, რომლებსაც გაუგზავნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

დადგენილება ერთხმად არის მიღებული.

ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი დედაქალაქი — თბილისი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. საამისოდ მიზანმიმართულ ღონისძიებებს ანხორციელებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელები და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალები. ქალაქი თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება, აღარ იგრძნობა ადრინდელი დაძაბულობა.

ნორმალური რიტმის აღსადგენად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქალაქო ტრანსპორტის გამართულ მუშაობას, ქუჩებში ავტობუსების, ტროლეიბუსების, ტრამვაის, ტაქსების, შეუფერხებელ მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით ვეწვიეთ და ვესაუბრეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსს **ო. დარჯანიას.**

—თქვენს გაერთიანებაზე იყო დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად, ასეთ უმძიმეს პირობებში ქალაქის ეკონომიკის დარგების, მომსახურების სფეროს, სხვა ასობით ორგანიზაციის შეუფერხებელი მოქმედება და, რამდენადაც ვიცით, თქვენმა დიდმა კოლექტივმა ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა.

— დავიწყებ იმით, რომ ყურადღებით გავეცანი პრესაში გამოქვეყნებულ მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, სრულიად ვეთანხმები, რომ ყალბმა ორიენტირებამ თავგზა აუბნია ადამიანთა ერთ ნაწილს, დაიწყო უწესრიგობანი, დაიღუნენ ადამიანები, დაიღვარა უდანაშაულო სისხლი. მართლაც განუზომელია მათი დედებისა და ახლობლების გლოვა, ვერ წარმომიდგენია ჩვენთან მცხოვრები თუნდაც ერთი ნორმალური ადამიანი, რომელიც ამ ამბავს არ შეეძრწუნებინოს.

ზოგიერთისათვის შეიძლება ეს მოულოდნელიც იყო, მაგრამ სატრანსპორტო გაერთიანების კოლექტივმა სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და არ დაიძნა, გამოიჩინა გონიერება და საზრიანობა. კი არ დაუპირისპირდა ახალგაზრდობას, არამედ დინჯად, უემოციებოდ დაიწყო მათი დაშშმინებისათვის და გადარჩენისათვის ბრძოლა. ექსტრემისტული ჯგუფები მძღოლებს ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ და ეუბნებოდნენ, პატრიოტები არა ხართო, ზოგჯერ აიძულებდნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საწარმოებში.

მარტო 9 აპრილს იყო შეფერხება, თორემ მომდევნო დღეებში მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. 10 აპრილს უკვე მუშაობდა საქალაქო ტრანსპორტის 70 პროცენტი, 11 აპრილს — 80 პროცენტი, 12 აპრილს — 90 პროცენტი. ხოლო 13 აპრილს — მთლიანად. გუშინ ხაზებზე მოქმედებდა 1016 ავტობუსი, ტროლეიბუსი და ტრამვაი — ნორმაზე ცოტა მეტიც კი.

— მაინც, რა დაუპირისპირეთ ამ არასასიამოვნო სიტუაციას?

— ორგანიზებულობა. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ თვით სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით შეიქმნა 3 — 4-კაციანი ჯგუფები. ისინი დაჰყვებოდნენ მარშრუტებს და საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ პასუხი გაეცათ იმათთვის, ვინც გაბედავდა შეეფერხებინა მუშაობა. საბედნიეროდ, გუშინ ეს საჭირო არ გამხდარა. კოლექტივის ერთ „მუშტად“ შეკვრა კარგია, მაგრამ ამის მიღწევა საზრიანობით, დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად შეიძლება. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ალბათ, ვერც ჩვენ გავხდებოდით რამეს.

—კვლავ რომ დაიძაბოს მდგომარეობა?

დარწმუნებული ვარ, რომ ეს აღარ მოხდება, მაგრამ. თუ საჭირო იქნება, კოლექტივი უკან არ დაიხევს. სირთულეს კვლავ სიმტკიცესა და ორგანიზებულობას ვუპირისპირებთ. ასეთ პირობებში ვაჟკაცი, ნამდვილი პატრიოტი ის არის, ვინც თავს შეიკავებს და არ აჰყვება ემოციებს. გაბა უბედურება არ არის, ყოველ ნაბიჯზე შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და ტანკებს ხედავდე? ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გაუქმდეს კომენდანტის საათი, გაიყვანონ ჩვენი ქალაქიდან სამხედრო ნაწილები.

... ხელმძღვანელობა

რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები, მთელი მოსახლეობა სულ უფრო ფართოდ უპერენ მხარს იმას, რომ საჭიროა აფეთქებასაში ვითარების სტაბილიზაცია და თანდათანობით შენელება.

პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ქარლო გუჯაბიძე:

— რაიკომის პლენუმის დამთავრებისთანავე გაიმართა თათბირები სახალხო-სამეურნეო ობიექტების ხელმძღვანელებთან, დარგების მიხედვით მათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. თითოეულ ორგანიზაციას მიმაგრებული ჰყავს რაიკომისა და პარტიული აქტივის პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთა სამუშაო დღე დედაქალაქში საგანგებო ღონისძიებათა დაწესებასთან დაკავშირებით. დილის შვიდ საათზე იწყება.

12 აპრილს სამუშაოზე გამოვიდა რაიონის სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა მუშების 93 პროცენტი. მობილურად და ორგანიზებულად მოქმედებენ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები, რომლებსაც ამ დღეებში არც ერთი სერიოზული ხარვეზი არ ჰქონიათ.

განსაკუთრებული ყურადღების სფეროშია მსხვილი სამრეწველო საწარმოები — საწარმოო გაერთიანებები „ელექტროაპარატი“ და „ელმავალმშენებელი“, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება და სხვები. იქ, სადაც სამუშაო ციკლი მრავალცვლიან მუშაობას ითვალისწინებს, განხორციელდა რეორგანიზაცია კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით: მაქსიმალურად შემცირდა პირველი ცვლები და შემცირდა მეორე ცვლები.

სხვათა შორის, კომენდანტის საათთან დაკავშირებით წარმოიქმნა სხვა პრობლემებიც. მისი შემოღების პირველ ორ დღეში ჩვენს რაიონში დაიკავეს დაახლოებით 60 კაცი. ამიტომ, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარდა, გადაწყდა სამორიგეოდ სამხედრო საგუშაგოებზე გამოვყოთ რაიონის კომკავშირელები და აქტივის წარმომადგენლები.

პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ნიკოლოზ ლეკიშვილი:

— ჩვენს რაიონში ვითარებისადმი კონტროლის ოპერატიული შტაბი შეიქმნა თვის პირველი დღეებიდანვე, უსანქციო დემონსტრაციების დაწყებისთანავე. ამიტომ, შეიძლება ითქვას, შეძლებისაგვარად „შემჭიდროებულ ვადებში გამოვხმაურებოდით მოვლენათა ესოდენ კრიზისულ შემობრუნებას. გაიმართა შეხვედრები რაიონის ყველა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელებთან. დღისათვის მთლიანად მოქმედებს ყველა სამრეწველო ობიექტი, ჩვენ კი დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ ვკრეფთ ინფორმაციას სახალხო-სამეურნეო ობიექტებში სამუშაოზე გამოსვლისა და საქმის ვითარების შესახებ, სადაც საერთო მდგომარეობა სტაბილური ხდება.

ადგილებზე ვითარების ნორმალიზაციის ოპტიმალური გზების ძიებას მი

რომელმა შექმნა ანბანი

ჩვენი საზოგადოებრიობა გონივრულ გადაწყვეტილებამდე მივიდა — ძეგლი აღუმართონ ივერთა ეროვნული სახელმწიფოს მესაძირკველს — ფარნავაზ მეფეს. „ფარნავაზი პირველი მეფე იყო ივერიისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ახალი ცხოვრების გზას დაადგა. ახალი ერა დაიწყო, მმართველობის ახალი სისტემა ყალიბდებოდა, იცვლებოდა არამარტო სახელმწიფო სტრუქტურა და გარეგნული სახე, არამედ ცალკეულ ადამიანთა ცხოვრების შინაარსი და ურთიერთობა. უფრო გაბედულად თუ ვიტყვით, მათი ხასიათი და ფსიქიკაც“.

ფარნავაზი, ისევე როგორც შემდგომში დავით აღმაშენებელი, არის ის დიდი ბურჯი, რომელმაც განამტკიცა ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, განავრცო ჩვენი ენის მადლი და კულტურა. იმდენად ზღვარდაუდებელია ფარნავაზის ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე, რომ მას, წარმართ გამგებელ ს ა და მოაზროვნეს, მოკრძალებითა და აღიარებით არაერთგზის მოიხსენიებენ ქრისტიანი მემატიანენიც. ჩვენი დიდი განმანათლებელი, სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ანტონ კათალიკოსიც ერთგვარი მობოდიშებით ბრძანებს: იმდენად დიდია წარმართი ფარნავაზის ღვაწლი, რომ მისი აღუნიშვნელობა წარმოუდგენელია და მეც, ღვთისმსახურიც პატივს მივაგებ ამ დიდ ქართველსო. საგანგებო ჰიმნსაც უძღვნის ფარნავაზს:

„თუ ბარბაროსთა მივერჩდე
ქება-სტიხით,
ჰხამს მაშინ ქებად ფარნავაზ-
მეფე დიდი.
ვინ ქართუელებრსა შეეწია
ენასა...“

დიახ, მართლაც უსაზღვროა ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლი მშობლიური ერის წინაშე და ამიტომაც ერთგვარ გაოცებას იწვევს მემკვიდრეთაგან ის მოკრძალებული ყურადღება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასე თავშეკავებით გამოვლინდა მის მიმართ. რამდენადაც გულდასაწყვეტია ის დუმილი, იმდენად სასიამოვნოა, რომ ბოლო წლების მანძილზე აშკარად გამოიკვეთა ინტერესი მისი პიროვნების, მისი ნაღვაწის მიმართ და გაჩნდა არაერთი წერილი გამოკვლევა, მოთხრობა თუ რომანი, რომელიც ამ „დუმილით“ გამოწვეული დიდი ხარვეზის დაძლევის ცდაა. არადა ამ, მართლაც, გამორჩეული პირის შესახებ საკმაოდ სრულ ცნობებსა და მასშტაბურად გააზრებულ ანალიზს გვანვდის შესანიშნავი უძველესი მოთხრობა „ცხოვრება ფარნავაზისი“, რომელიც ქართული სიტყვაკაზმული ხელოვნების შედევრია. ამ, მოცულობით მცირე, ეპიკურ ქმნილებაში დიდი მხატვრული ოსტატობითაა ასახული ქართული სახელმწიფოს დაარსების ისტორია. მასში საოცარი სისრულითაა წარმოსახული ისტორიული სინამდვილე და შინაგანი სისავსითაა გამოკვეთილი ფარნავაზის მოშუმენტური სახე, რომლის რაინდული ქველობა, სახელმწიფოებრივი სიბრძნე, პოლიტიკური გამჭრიახობა და ადამიანური ღირსებები, უაღრესად გამახვილებული მამულიშვილური განცდები ისე მიმზიდველად და დამარწმუნებლადაა წარმოჩენილი, რომ ჩვენს თვალწინ საუკუნის სიღრმიდან ამოზიდული ერისკაცის დიადი სახე ცოცხლდება.

ავტორი ახერხებს სისრულით გაგვაცნოს ფარნავაზის მდიდარი ბიოგრაფია, ამასთანავე დაბეჯითებით ასახავს შორეული წარსულის სურათებს: ბუნების აღწერა იქნება ეს თუ ნადირობის სცენები, შეთქმულთა თათბირი თუ საბრძოლო ეპიზოდები.

მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფარნავაზის გამეფებამ ისეთი საერთო-სახალხო სიხარული გამოიწვია, რომ „იტყოდეს ამას ყოველნი: „ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩვენ მეფე ნათესავთაგანი მამათა ჩუენთასა და აღგვიხადა ხარკი და ჭირი უცხოთ ნათესავთაგან“. ეს დიდი ეროვნული ბედნიერება — ქვეყანამ რომ დამოუკიდებლობას მიაღწია და უცხოელთა ნაცვლად თანამემამულეა გამეფებული, საყოველთაო ზეიმად ქცეულა და ავტორი გვაცნობს არამარტო ფაქტს, არამედ უშუალოდ განგვაცდევინებს ისტორიულ ატმოსფეროს და ამას ისეთი ოსტატობით აღწერს, რომ თანამედროვე მკითხველი თითქოს ხედვითად აღიქვამს ყოველივეს. ეს არის ერთი დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელშიც მთავარი პერსონაჟის, ფარნავაზის ცხოვრება ბავშვობიდან სიკვდილამდე მთლიანადაა წარმოდგენილი. ფარნავაზი — ვითარცა გულადი მებრძოლი და სტრატეგი მხედართმთავარი პოლიტიკოსი და გამგებელი, ბრძენი სახელმწიფო აღმშენებელი და სამეურნეო წამოწყებათა დიდი ორგანიზატორი, კულტურულ-საგანმანათლებ ე ლ ო სამეანობის დიდი თაყვანცა და საერთოდ ქვეყნის აღორძინების მტკიცე ბალავრის დამდები.

ფარნავაზის მოღვაწეობის ამსახველი თხზულების დედაარსს წარმოადგენს ეროვნული იდეა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პათოსითაა გამსჭვალული ყოველი პასაჟი, ყოველი დეტალი, რაც მთელი სისრულით ვლინდება ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლასა და სახელმწიფოებრივ-გამმანათლებლურ მოღვაწეობაში. პირველი ფრაზიდან მოყოლებული მთელ თხზულებას გასდევს „ქართლის თემა“. ავტორი თავიდანვე საგანგებოდ გვაუწყებს, რომ ფარნავაზი იყო „მამულად ქართლელი“. ეს არ არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობა, მასში ჩაქსოვილია გაცილებით შორს მჭვრეტელური გაჯერება. კერძოდ, ფარნავაზის ეროვნულობის აღნიშვნით ავტორი ხაზს უსვამს მის მემკვიდრეობით უფლებას, რომ მხოლოდ ისაა ქართლის გამგებელთა ერთადერთი კანონიერი შთამომავალი და მხოლოდ მას ხელეწიფება ქვეყნის მართვა. ფარნავაზის მოღვაწეობის წარმოჩენისას თვით ფარნავაზის პიროვნების გამოკვეთასთან ერთად, უაღრესად მასშტაბურადაა განვითარებული სახელმწიფოებრივ-ეროვნული პრობლემები. ასევე მასშტაბურად და სახიერადაა გაცოცხლებული ეპოქის მაჯისცემა. საოცარი დამაჯერებლობითაა წარმოსახული ის მთლიანი ატმოსფერო, რომელშიც ხდება ეს მნიშვნელოვანი ეპოქალური ძვრები.

ფარნავაზის დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას შარავანდედად აგგას ენის, დამწერლობის პრობლემის გადაწყვეტა, ამიტომაცაა, რომ მისი ცხოვრების აღწერისას შემაჯამებლად, დამაგვირგვინებლად სწორედ ამ პრობლემაზეა საუბარი და ესაა უკანასკნელი, მაგრამ უძლიერესი და უმშვენიერესი აკორდი ამ თხზულებისა: „მან (ფარნავაზმან — რ. ბ.) განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“. თხრობის ასეთი დასასრული წარმოადგენს ერთგვარ შეჯამებას, კვინტესენციას ფარნავაზის საქმიანობისას, ამასთანავე ესაა აპოთეოზი მისი მოღვაწეობისა.

ფარნავაზისა და მისი ეპოქის შესახებ ჩვენამდე სხვა არავითარ ცნობას რომ არ მოეღწია და ეს ბოლო სამი სტრიქონი შემორჩენოდა ისტორიას, სრულიად საკმარისი იქნებოდა ფარნავაზის ღვაწლისა და ეპოქის შემოქმედებითი მასშტაბების გასათვალისწინებლად. საქმე ისაა, რომ მნიგნობრობის შექმნასა და განვითარებას ერი მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც უმაღლეს სოციალური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრობლემა წარმატებით აქვს გადაჭრილი, როდესაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში იგი აღმავლობას განიცდის და ყოველივე ამის თანამიმდევრული და ლოგიკური დაგვირგვინებაა სულიერი საგანძურის, მწიგნობრობის დაფუძნება და განვითარება. მწიგნობრობის დამამკვიდრებელნი არ ეტევიან მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეთა „რუბრიკაში“. ამგვარი ადამიანების შესახებ კონსტანტინე გამსახურდია წერს: ისინი ან ბელადები არიან, ან წინასწარმეტყველნი. ჭეშმარიტად ასეა! და სწორედ ამ რანგში გაიაზრა შთამომავლობამ ფარნავაზი. ზემოთ მოყვანილ ციტატაში, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ფრაზის ემოციური დატვირთულობა. ამ ფრაზაში ჩაქსოვილია არამარტო ინფორმაციული, შემეცნებითი ფუნქცია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია მწერლის ემოციური დამოკიდებულება ფაქტისადმი. აშკარაა, რომ ამას ამბობს ადამიანი, რომელიც პირადად იტანჯება და მწვავედ განიცდის, რომ მის ქვეყანაში მშობლიურ ენას დაკარგული აქვს მოქალაქეობრივი უფლება, სახელმწიფოებრივი ფუნქცია და აი, მოხდა სასწაულებრივი გარდატეხა. მშობლიური ენის დევნით განაწამები და შეურაცხყოფილი ადამიანი მოესწრო იმ საოცნებო დღეს, როდესაც ფარნავაზის სიბრძნითა და ქველობით მისი ქვეყანა იმდენად გაძლიერდა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენად დაკანონდა. მშობლიურმა ენამ თავისი ღირსება და პატივი, აღიარება და უფლებები მოიპოვა და ამ დიდი ეროვნული და მოქალაქეობრივი აღიარებით აღზევებული მამულიშვილი აღტაცებითა და თავშეუკავებელი ბედნიერებით საქვეყნოდ ღაღადებს — **„არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“.**

ესაა ფაქტით გამოწვეული უშუალო რეაქცია, რეაქცია მამულიშვილისა, რომელიც სწორედ იმ ცხოვრებით ცხოვრობს, იმ ატმოსფეროთია გაჟღენთილი, როდესაც მის ქვეყანაში ხდება ეს დიდი ისტორიული ძვრები, რომელთაც საძირკველი დაუდეს ერისა და ენის სიმტკიცესა და განვითარებას. მოვლენებთან ასეთი თანაზიარობა მხოლოდ თანამედროვის განწყობილების მაუწყებელია და ეს პასაჟი კიდევ ერთი სარწმუნო საბუთია იმისა, რომ ფარნავაზის „ცხოვრება“ ამ დიდებული მეფის ახლო თანამედროვის ქმნილებაა.

ამავე პასაჟში არანაკლებ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ასპექტი. როგორც აღვნიშნეთ, ფარნავაზის „ცხოვრების“ ლაიტმოტივია „ქართლის თემა“ და სრულიად საქართველოს იდეა. ფარნავაზმა ბრძოლითა და სიბრძნით შეძლო ცალკეული კუთხეების შემომკვიდრება და ერთიანი, მთლიანი სახელმწიფოს შექმნა. ამ დიდი მთლიანობის ხერხემლად მან მშობლიური ქართული ენა აქცია, ეს მოვლენა გონებამახვილურად აქვს შენიშნული მწერალ ვახტანგ ჭელიძეს და სავსებით მართებულად ასკვნის: **ხოლო ის ფაქტი, რომ მან (ფარნავაზმა — რ. ბ.) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართული დაკანონა, უდიდესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტი და ჭკვიანი მმართველის შორს გამიზნული ნაბიჯია. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ქართველი ტომების გაერთიანებისა და შემჭიდროვების საქმეს.**

„ფარნავაზმა რომ ქართველი ტომების გაერთიანება დაისახა მიზნად და ამ მხრივ ბევრიც გააკეთა, ეს უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მან ასეთი ერთიანი ქვაკუთხედად ენა დასახა, ეს უკვე მისი დიდი სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის უტყუარი ნიშანია.“

ენის ფენომენის ასეთი სიღრმითა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით წარმოჩენა მწერლის სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის ჭეშმარიტი დადასტურებაა. მრავლისმეტყველია ამავე ძეგლით დამკვიდრებული ასევე დიდმნიშვნელოვანი ფაქტი: **ფარნაზავმან შექმნა მნიგნობრობა ქართული.** ამ პრობლემას მრავალი მეცნიერი შეეხო (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, თ. გამყრელიძე, რ. პატარიძე, ელ. მაჭავარიანი, თ. ჩხენკელი). ამიტომ აღარ განვავრცობთ მსჯელობას, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ **ფარნავაზის, ამ საოცრად დიდი მოღვაწისა და რეფორმატორის ინტერესთა და შესაძლებლობათა მასშტაბში სავსებით ორგანულად და ბუნებრივად თავსდება დამწერლობის ფუძემდებლის ამაღლებული და ამაღელვებელი მისია.**

როდესაც ფარნავაზის რეფორმატორობის შესახებ ვლაპარაკობთ, ისიც საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მან ცხოვრების ახალი წესი განუჩინა, შექმნა მართვის ახლებური, მყარი და ამავე დროს ელასტიური სისტემა, დაამკვიდრა კანონმდებლობა, მოაწესრიგა სამეურნეო, გზათა და ქალაქთა მშენებლობა — „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ“. ყოველივე ამით, ძლიერ ჰყო ქვეყანა თვისი“ და აღმავალი გეზი მისცა მის განვითარებას. და რამდენადაც, სამწუხაროდ შთამომავლობა დიდ ვალშია ამ საოცარი მამულიშვილის ხსოვნის მიმართ, იმდენად გასახარია, რომ დღეს მომწიფდა აზრი ფარნავაზის ძეგლის აღმართვისა. ეს დიდებული და საშურია!

აქვე გვინდა ამ ძეგლთან დაკავშირებით ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ. ჯერ ერთი, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს ძეგლი მაინც დიდგმება საჯაროობის შესაფერი განსჯის გზით. უთუოდ გამოცხადდება ღია კონკურსი. ძეგლის ხასიათის შესახებ უფრო კომპეტენტურად მოქანდაკეები და ხელოვნებათმცოდნეები იმსჯელებენ, ხოლო თუ სად უნდა აღიმართოს ეს ძეგლი, გავკადნიერდები და ჩემს მოსაზრებასაც შემოგთავაზებთ. თვით ისტორიულ ქრონიკაში წერია: **„მან ფარნავაზ... შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი და ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქვა“.**

აქ საყურადღებოა, რომ ფარნავაზმა ააგო ღვთაება არმაზის ძეგელი, ხოლო არმაზს სპარსულად ფარნავაზი ეწოდებაო. აქ მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევი ორაზროვნებაა ჩაქსოვილი: ქართლის მეფემ ააგო ძეგელი, რომელიც არმაზად იწოდებოდა, რაც ფარნავაზადაც სახელიდებოდა. ასეთი ორაზროვნება კულტურის ისტორიაში არაა იშვიათი. უახლეს ეპოქაში ამის კლასიკურ ნიმუშად უნდა გავიხსენოთ რუსეთში პეტრე დიდის მიერ აგებული ბრწყინვალე ქალაქი „სანკტპეტერბურგი“, რომელიც ოფიციალურად მოციქული წმინდა პეტრეს სახელზეა აგებული, ხოლო არაოფიციალურად, ქვეტექსტით მისი ამგებელი პეტრე დიდი იგულისხმება და სწორედ ეს უკანასკნელი გაიცნობიერა მადლიერმა რუსმა ხალხმა და ამ ქალაქის სახელი „პეტერბურგი“ მუდამ პეტრე დიდის ასოციაციას ქმნის.

ჩვენი აზრით, ანალოგიური ორაზროვნება დაჰყვებოდა იდეას, როდესაც აღიმართა არმაზი — ფარნავაზი.

ახლა მეტად ძნელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად სად იდგა ეს ძეგელი, თუმც ახლა ვიცით, არმაზის მთა სადაა და თუ ისტორიკოსები და არქეოლოგები დაგვეხმარებიან და მიგვაგებინებენ ამ ძეგლის ადგილს, ხომ კარგი, თუ არა და ერთი აშკარაა: **ფარნავაზის ძეგელი, ჩემი პირადი აზრით, უნდა აღიმართოს ფარნავაზისავე ქალაქში — მცხეთაში.**

რევაზ ბარამიძე.

ქართულის ხიბლი...

მშობლიურ ენაზე ზრუნვით

ქუთაისის პედაგოგიური საზოგადოება, მოსწავლე ახალგაზრდობა, მრავალი მშრომელი მთელი სამი თვის განმავლობაში მოწმენდ და მონაწილენი იყვნენ იმ ღონისძიებათა კომპლექსისა, რომლებიც ჩატარდა დევიზით: „ქართული მარტო ენაა? ქართული — ქართველთ რწმენაა“.

მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის გამიზნულ ამ მნიშვნელოვან აქციას სათავე დაუდო სახალხო განათლების საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი მადონა მეგრელიშვილი), რომელიც სულ შვიდი თვეა, რაც დაარსდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში საბჭომ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგიურ კოლექტივებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, მათთან გულახდილი დიალოგით მიიღო მდიდარი ინფორმაცია, რომელიც გულდასმით გაანალიზდა. გამოიკვეთა ამოცანები. ეს ამოცანები კი, მოგეხსენებათ, მრავალწახნაგოვანია და მათი გადაჭრისათვის რესპუბლიკაში გაშლილი აქტიური მოძრაობა ითხოვს თანადგომას, საჯაროობისა და დემოკრატიულობის გაშლას. ასეთი თანადგომა სწორედაც ახლდა ქუთაისის სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს ინიციატივას — მას მხარში ამოუდგნენ საქართველოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც მთელ ამ ინტენსიურ სამთვიან მუშაობას თანაუგრძნობდნენ, პრაქტიკულად ეხმარებოდნენ.

მაინც, რა პრობლემები წარმოჩნდა დისკუსიის პროცესში? ის, თუ ვინ და როგორ ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში; როგორ განზოგადდება მოწინავეთა გამოცდილება; როგორ თანამშრომლობენ მოსწავლეებთან; უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების ურთიერთობა; როგორ ვაჩვევთ ყმანვილებს სწავლას, რა მეთოდებით, რა ფორმებით ვცდილობთ მოსწავლეთა დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების განვითარებას, მხატვრული გემოვნების, მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვეულების ჩამოყალიბებას; „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“ და სკოლა; და კიდევ ბევრი სხვა, რომელთა შესახებ მსჯელობა არც თუ დიდი ხნის წინათ ტაბუდადებული იყო.

ღია დისკუსიას დიდი მოსამზადებელი საქმიანობა უძღოდა. ქალაქის ხუთ სკოლაში მოეწყო ღია გაკვეთილები, გაანალიზდა 117 მასწავლებლის 276 გაკვეთილი, 17 სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა სოციოლოგიური გამოკვლევა. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ სასიკეთო ცვლილებებია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში, ამაღლდა პედაგოგთა მუშაობის ხარისხი. მაგრამ, ამავე დროს შედგა გრძელი ნუსხაც, რომელთა აღმოფხვრა საშური და გადაუდებელი საქმეა. კერძოდ, ბევრგან ჯერაც არ იგრძნობა მუშაობის გააქტიურება, იგი მიმდინარეობს დუნედ, მბრძანებლურ-იმპერატიული მეთოდით. გაკვეთილებზე ჭირს შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა, მოსწავლეებთან თანამშრომლობა; ზოგ სკოლაში არ შექმნილა ან არ მოქმედებს ენობრივი რეჟიმის დაცვის კომისია; არცერთ სკოლაში არ უმსჯელიათ მასწავლებელთა მეტყველების კულტურის შესახებ. მეთოდგაერთიანებათა საქმიანობაში ჭარბობს ფორმალიზმი, ტრაფარეტული და ერთფეროვანია მოსწავლეთა საგნობრივი წრეებია მუშაობა. ფრიად საგულისხმო იყო მოსწავლეთა შენიშვნები, რომელიც მათ ანკეტირებისას გამოთქვეს: სწავლება უთუოდ უნდა წარიმართოს მოსწავლე-მასწავლებლის თანამშრომლობით, სასარგებლო დიალოგით, არგუმენტირებული დისკუსიით, უამისოდ შეუძლებელია მოსწავლის აზროვნების განვითარება.

სკოლის რეფორმის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა მოსწავლეთა გააქტიურება. როგორი სურათია ამ მხრივ ზოგიერთ სკოლაში? მთელი თვის განმავლობაში შეფასება არა აქვს მოსწავლეთა დიდ ნაწილს, ბევრ მასწავლებელს არ აინტერესებს ე. წ. „საშუალო მოსწავლეებთან“ მუშაობა. არადა ანკეტური გამოკითხვისას სწორედ მათ გამოავლინეს თავისუფალი, შტაპეპებისა და ზუთხვის გარეშე აზროვნება.

დიახ, ქართული ენის სწავლების, მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემები ისე უხვადაა ქუთაისის (და აღბათ არა მარტო ქუთაისის) სკოლებში, რომ ახლა განსაკუთრებული ძალისხმევა, განსაკუთრე ბ უ ლი გულწრფელობა და ასევე განსაკუთრებული ურთიერთთანადგომაა საჭირო, რომ იგი ჩვენი რევოლუციური ეპოქის მოთხოვნის სიმაღლეზე დადგეს.

ამ ღონისძიებებს არ ახლდა მოჩვენებითობა და გარეგნული ბრჭყვიალება. საქმიანი, გულისტკივილიანი, ერის ინტერესებს დაქვემდებარებული იყო ყოველი მეხვედრა, ყოველი საუბარი, კამათი.

მოსწავლეებმა ცოცხალ დიალოგში საპაექროდ გამოიწვიეს განათლების მინისტრიც, ქართული ენისა და ლიტერატურის აღიარებული თეორეტიკოსებიც, ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებიც.

— რა ვუყოთ ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც გაკვეთილებზე ქართულის ხიბლის ჩვენამდე მოტანის ნაცვლად ჩხუბსა და დავიდარაბაში კარგავენ დროს? — სვამს კითხვას ერთი.

— უმარავი უზუსტობა და გაუგებრობაა არამარტო ქართული ლიტერატურის, სხვა სახელმძღვანელოებშიც, — თამამობს მეორე და ასაბუთებს კიდეც თავის მოსაზრებას.

— VII-IX კლასებისათვის გაწაუთვნილ ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებს მხოლოდ ყდა განუახლეს, შიგნით ბევრი არაფერი შეცვლილა, — დინჯად, აკადემიურად გამოთქვამს კრიტიკას მესამე...

პასუხები კომპეტენტური, არგუმენტირებული იყო. ყმანვილებისათვის საინტერესო, აგრეთვე ბევრ ბუნდოვან საკითხს მოეფინა ნათელი.

ასეთივე გულწრფელობა, სიმწვავე და ობიექტურობა, საერთო სატკივარის მკურნალობის გზებისა და საშუალებების ძიება თანამგზავრობდა ღია გაკვეთილების შედეგების განხილვებს, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტთან დაკავშირებულ პრესკონფერენციას, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელთა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შეხვედრას ახლადგახსნილ სადისკუსიო კლუბში, სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს გაფართოებულ სხდომას, ახალგაზრდობის შემოქმედებით სალამოს კლუბ „ოქროს ჩარდახში“ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ქალაქის პედაგოგიურ საზოგადოებასთან, მშობლებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მშობლიური ენის დიდი სპეციალისტების შეხვედრათა დამამთავრებელ ეტაპზე მოეწყო.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

მინისძვრა საქართველოში

13 აპრილს, 12 საათსა და 49 წუთზე, თბილისში 4 बალამდე ძალის მიწისძვეშა ბიძგები იყო. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, მიწისძვრის ეპიცენტრი იყო თბილისიდან 100 კილომეტრზე ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე. ეპიცენტრში ბიძგების ძალამ დაახლოებით ექვსი बალი შეადგინა. მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა.

(საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

● **რეგბი.** დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. პირველ ტურში ქვეყნის ორგზის ჩემპიონებმა — ქუთაისის „მშენებლის“ რეგბისტებმა ანგარიშით 15:10 დაამარცხეს კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაუსტროი“. თბილისის „ელმავლისა“ და გაგარინის სახელობის სამხედრო-სავიაციო აკადემიის გუნდის მატჩი გადატანილია 18 აპრილისათვის.

● **ბადრაკი.** ბარსელონაში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება. მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა გადადებული პარტია მოუგო ინგლისელ ჯონათან სპიერმენს, 5,5 ქულა მოგროვა და მეშვიდედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. 7 ქულით ცვლა ფინ არის იუგოსლავიელი ლუბომირ ლუბოევიჩი. ნაიჯელ შორტს (დიდი ბრიტანეთი) 6,5 ქულა აქვს, რობერტ ჰიუბნერს (გფრ) — 6.

ბერლინის საერთაშორისო ტურნირში 4,5 ქულით დაწინაურდა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მეექვსე ტურში აზმაიფარაშვილი დაუზავდა თანაქალაქელ გენადი ზაიჩიკს. ლიდერს ხახეკანი ქულით ჩამორჩება უვე ბეწში (ჯდრ). ზაიჩიკმა 3,5 ქულა მოაგროვა.

● **ფეხბურთი.** გასულ ორშაბათს გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ორი მატჩი. მაგდებურგში გდრ-ს ნაკრები ეთამაშა თურქეთის გუნდს და დამარცხდა — 0:2. გოლები გაიტანეს ჩოლკამა და რიდვანმა. თურქეთის ნაკრებს 4 თამაშის შემდეგ 5 ქულა აქვს დ> ლიდერობს მესამე ევროპულ ჯგუფში.

ბუდაპეშტში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და მალტის ფეხბურთელები. ფრე — 1:1.

1990-91 წლების ევროპულ საფეხბურთო ტურნირებში კვლავ ჩაებმებიან ინგლისის კლუბები. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს უეფა-ს აღმასკომის საგანგებო სხდომაზე. შეგახსენებთ, რომ 1985 წელს ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე მომხდარი სასხლიანი დრამის შემდეგ უეფამ ინგლისის საფეხბურთო გუნდებს განუსაზღვრელი დროით აუკრძალა ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა. ეროვიც უნდა ითქვას: ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები გაისად აპრილში დაზუსტდება.

● **ᲐᲣᲨ**

პრეზიდენტის „ეთიკური პროგრამა“

ვაშინგტონი. „მაღალი ეთიკური სტანდარტები ახლანდელი ადმინისტრაციისათვის მთავარი საკითხია, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების კონფერენციაზე გამოსვლისას. — ჩვენ ვაპირებთ მივაღწიოთ ამ სტანდარტების ზუსტ, მთლიან და სამართლიან დაცვას კანონის ფორმისა და შინაარსის სრული შესაბამისობით“. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მთავრობის მოხელეების ქცევის წინათ შემუშავებული წესები „გართულებული იყო და თანაბრად არ გამოიყენებოდა“ და ჩამოაყალიბა თავისი „ეთიკური პროგრამა“, რომელიც როგორც მან თქვა, მიზნად ისახავს იმას, რომ აღმოფხვრას ნაკლოვანებანი მთავრობაში ეთიკის მარეგულირებელ წესებში.

უნდა დავამყაროთ „მკაფიო ეთიკური პრინციპები“, განაცხადა პრეზიდენტმა. ისინი უნდა იყოს „სამართლიანი და გონივრული“ და თანაბრად უნდა გამოიყენებოდეს ფედერალური ხელისუფლების ყველა შტოსათვის — ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოებისა და კონგრესისათვის. საზოგადოებრიობის ნდობა მემკვიდრეობით არ გადაეცემა, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, იგი უნდა მოვიპოვოთ და გავამართლოთ. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა კანონმდებლებს აკრძალონ პირადი მიზნებით საარჩევნო კამპანიების დროს შეგროვებული სახსრების გამოყენება. „შესატანები პოლიტიკური მიზნებისათვის, — თქვა მან, არ უნდა გადაიქცეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრთათვის საპენსიო უზრუნველყოფის პირად ფონდად“. პრეზიდენტმა გამოთქვა აგრეთვე აზრი, რომ საჭიროა მეიზღუდოს „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტების“ როლი. ეს ორგანიზაციები კაპიტოლიუმის ბორცვზე წარმოადგენენ „განსაკუთრებული ინტერესების ჯგუფებს“ და გარკვეულწილად აფინანსებენ მათთვის ხელსაყრელი კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებს. „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები“ ასუსტებენ პარტიის როლს, ზღუდავენ შეჯიბრებითობას კამპანიების დროს და აუფერულებენ პოლიტიკურ დებატებს. — ვფიქრობ, რომ უნდა აღმოვფხვრათ კანდიდატებისათვის „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტების“ მხრივ ძღვენის მირთმევა. როგორც ჯ. ბუშმა თქვა, იგი გამართავს კონსულტაციებს კონგრესში ამ საკითხების გამო.

● **უნგრეთი**

გაიმართა პლენუმი

ბუდაპეშტი. აქ მუშაობა დაამთავრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა განიხილა და მოიწონა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივნის კაროი გროსის ინფორმაცია, **რომელიც მოამზადა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა მუშაობის სტილისა და მეთოდების შემსწავლელმა კომისიამ. კერძოდ, აღინიშნა, რომ პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული სიძნელეების მიუხედავად უკვე შეიმჩნევა განახლების პროცესების ნიშნები.**

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციულ საკითხებზე. ფარგადაქმნების პროექტების თაობაზე, რომლებმაც უხდა შეამსუბუქონ სოციალისტური პარლამენტური დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსკენ წინსვლა. პოლიტიკურ სფეროში საკვანძო მნიშვნელობა აქვს კანონთა პაკეტს, რომლებიც მოიწონა პოლონეთის სეიმმა 7 აპრილის სხდომაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებმა საკანონმდებლო აქტების შრომალ და ზუსტ ენაზე გადაიტანეს „მრგვალ მაგიდასთან“ პოლიტიკური მორიგებანი.

სეიმმა ქვეყნის კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები. მათგან მთავარია — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტის და პარლამენტის მეორე პალატის — სენატის შემოღება. პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ენიჭება ფართო უფლებამოსილებანი და ვალდებულება უზრუნველყოს სოციალისტური წყობის საფუძვლები, დემოკრატიული გარდაქმნების სიმტკიცე და შეუქცევადობა. სენატის შემოღებამ ხელი უნდა შეუწყოს საკანონმდებლო პროცესის სრულყოფას კანონების მიღებისადმი საზოგადოებრიობის მხრივ დამატებითი კონტროლის განხორციელებას. — მას ეძლევა უფლება დაიბრუნოს კანონი სეიმის ხელახალი განხილვისათვის, თუ ისინი, მისი აზრით, არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს.

ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი სეიმისა და სენატის არჩევნების შესახებ მიზნად ისახავს პოლონეთის საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციას. გაუქმებულია საარჩევნო კოლეგიები, რომლებიც წინათ „გამთესავდნენ“ კანდიდატებს, შემ